

ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა 2

მოსწავლის რეკეუდი

პირველი ნაწილი



სახელი _____

გვარი _____

სკოლა _____

სასწავლო წელი _____

ყოჩალი ბიჭი

1. რა რას შეიძლება შევადაროთ? დააკვირდი მაგალითს – იღიმება დედა, როგორც გაზაფხული. შეაერთე ხაზებით:

მაიკო ნაზია

როგორც ლომი

ჩემი ნაგაზი ძლიერია

როგორც მზის სხივი

დედის ალერსი თბილია

როგორც პატარა ია

2. ჩასვი ხმოვნები და შეადგინე სიტყვები:

□ თ □

ს □ ხ □ ლ □

ტ □ რ □ ლ □

ჩასვი თანხმოვნები და შეადგინე სიტყვები:

□ ა □ ა □ ი

□ ე □

□ ი □ ა

3. გამოწერე ასოები და გადაწერე წინადადება:

ღ ღ

ღ ღ

ხ ხ

კახვი შვიდი ღერის გურის
ვახლიაო.

ჩემი მხარე

1. მსგავს სიტყვებს ქვეშ ხაზი გაუსვი:

ჯადოქარს სამი შვილი ჰყავდა. სამივე გონჯი. ერთს მახინჯი ცხვირი ჰქონდა, მეორეს – უშნო ყურები, მესამეს კი – ულამაზო თვალები.

2. რა რა არის? შეაერთე ხაზებით:

სერები

მთის წვერები, ყველაზე მაღალი ნაწილი

მწვერვალები

პოეტი

მგოსანი

გრძლად გაწოლილი გორა

3. ქვემოთ ჩამოწერილ სიტყვებს ამ ჩამონათვალიდან (ლარიბი, მახინჯი, სულელი, ღონიერი, ჭკვიანი, ლამაზი.) შეურჩიე და მიუწერე მსგავსი სიტყვები (მაგალითად: მოხუცი – ბებერი):

უშნო -

ღონიერი -

ლატაკი -

ძიუხი -

მუქენიერი -

დამოუკიდებლად
საკითხავი

1. თაგვები და კატა

თაგვებს კატამ საქმე გაუჭირა. დღე ისე არ გავიდა, ოთხი-ხუთი მაინც არ დაეჭირა. შეწუხდნენ თაგვები. მოიყარეს ერთად თავი და დაიწყეს ბჭობა, თუ როგორ ეშველათ თავიანთი გასაჭირისათვის.

ერთმა ყმაწვილმა თაგვმა თქვა:

– ფიქრი ნუ გაქვთ, ძმებო, საქმეს ადვილად მოვევლება. ჩვენი უბედურება ის არის, კატის მოახლოებას გვიანლა ვიგებთ. ჩვენ რომ ციცუნისა ეჟვანი შევაბათ, ჟღარუნს გავიგონებთ და დროზე მოვკურცხლავთ.

– მშვენიერი აზრია! – ერთხმად წამოიძახეს თაგვებმა.

მაშინ მოხუცმა თაგვმა იკითხა:

– ვინ შეაბამს კატას ეჟვანს?

ამის გაგონებაზე ყველა შიშის კანკალმა აიტანა და სოროებში მიიმაღნენ.

წაიკითხე შეკითხვები. შემოხაზე თითოეული კითხვის სწორი პასუხი:

1. ვინ გაუჭირა თაგვებს საქმე?

1. ძალღმა;
2. დიასახლისმა;
3. კატამ.

2. რის გამო შეიყარნენ თაგვები?

1. ბჭობდნენ, როგორ დაეხსნათ კატისაგან თავი;
2. კატისათვის ხაფანგის დაგებას აპირებდნენ;
3. სანადიროდ აპირებდნენ წასვლას.

3. რა თქვა ყმაწვილმა თავგმა?

1. საკუჭნაოში სიარულს თავი დავანებოთო;
2. კატას ეჟვანი შევაბათ, რომ მისი მოახლოება გავიგონოთო;
3. კატას ხათანგი დავუგოთო.

4. რა იკითხა მოხუცმა თავგმა?

1. ვინ შეაბამს კატას ეჟვანსო?
2. ხათანგი როგორ გავაკეთოთო?
3. თუ საკუჭნაოში აღარ ვივლით, საჭმელი სად ვიშოვოთო?

5. რატომ მიიმალნენ თავგები?

1. მოხუცი თავგის შერცხვით;
2. არ მოეწონათ მოხუცის ნათქვამი;
3. შეეშინდათ, მიხვდნენ, რომ კატას ეჟვანს ვერავინ შეაბამდა.

სავარჯიშო

ყურადღებით წაიკითხე ეს ნაწერი. ყოველი სიტყვის ბოლოს ჩამოუსვი ერთი ხაზი და ყოველი წინადადების ბოლოს – ორი ხაზი:

ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა რ დ ა დ ე გ ე ბ ი დ ა ი წ ყ ო მ შ ო ბ ლ ე ბ მ ა ს ა ნ დ რ ო დ ა
გ ი ო რ გ ი ზ ღ ვ ა ზ ე წ ა ი ყ ვ ა ნ ე ს მ ა მ ა მ ბ ი ჭ ე ბ ს ც უ რ ვ ა ა ს წ ა ვ ლ ა

2. პატარა წრუწუნა

ერთხელ პატარა წრუწუნამ ეზოში გასეირნება გადაწყვიტა და სოროდან ფრთხილად გამოცუნცულდა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ სოროში შევარდა შეშინებული.

– რამ შეგაშინა? – ჰკითხა დედამ.

– ორი მხეცი ვნახე ეზოში. ერთი ძალიან საშიშია. თავზე ხერხი ადგას. ფეხებზე დეზები ასხია, თვალები დაბღვერილი აქვს და ნისკარტი – მოკაუჭებული. რომ დამინახა, ცალი ფეხი შეიკეცა, პირი დაალო და ისე დასჭექა, რომ გული გამისკდა და გავეჩქეცი.

– ეგ ხომ მამალია, შვილო, მაგისი როგორ შეგეშინდა?! – უთხრა დედამ.

– მერე მეორე მხეცი ვნახე. ის კი ძალიან საყვარელია. თავი მრგვალი აქვს და თვალები დიდი. ულვაშები ლამაზად აქვს გადაწყობილი. ტანზე ფუმფულა ბეწვი აქვს, კუდი კი გრძელი და ფაფუკი. ეზოში რომ გავედი, მზეზე იწვა და თათს ილოკავდა. დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოეჭანა. შემეშინდა და გამოვიჩქეცი.

– უი, ეგ ხომ კატაა, ერიდე მაგას, თორემ თუ დაგიჭირა, ველარც დაუძვრები კლანჭებიდან, – უთხრა დედამ.

რა აქვს მამალს, რა აქვს კატას?

შეაერთე ხაზებით:

	ბეწვი	
	ბიბილო	
მამალი	დეზები	კატა
	კლანჭები	
	ნისკარტი	
	ულვაშები	

ჩაწერე, რომელი უფრო საშიში ეგონა პატარა წრუწუნას:

ჩაწერე, რომელი ცხოველია თავისათვის საშიში:

რატომ ვერ იცნო წრუწუნამ თავისი მტერი? შემოხაზე სწორი პასუხი:

1. პატარაა და ჯერ არაფერი იცის;
2. კატა შორს იწვა და კარგად ვერ დაინახა;
3. კატა პატარა ლეკვი ეგონა.

სავარჯიშო

შეადარე ჩარჩოებში მოცემული ტექსტები ერთმანეთს. ქვეშ ხაზი გაუსვი განსხვავებულ სიტყვებს:

<p>ლამით მთებში სიარული სა- ხიფათოა. სიბნელეში გზის გაგნება ძალზე ძნელია. ლამით მელიები, მგლები, ფოცხვერები სანადიროდ გამოდიან. ეს მტაცებელი ცხოველები კლდეებს შორის ჩუმად მიიპარებიან და მსხვერპლს ეძებენ.</p>	<p>ლამით მთებში სიარული სა- ხიფათოა. სიბნელეში გზის გაგნება ძალიან ძნელია. ლამით მელიები, მგლები, ლეოპარდები სანადიროდ გამოდიან. ეს მტა- ცებელი ცხოველები კლდეებს შორის უხმაუროდ მიიპარებიან და მსხვერპლს ეძებენ.</p>
---	---

რამდენი განსხვავებული სიტყვა იპოვე? შემოხაზე სწორი პასუხი:

4

6

8

3. უცნაური წერილი

სიტყვის კაცმა მეორეკლასელებს წერილი მისწერა. მეგობრებისათვის გული რომ არ დაეწყვიტა, ეს წერილი დაანაწილა, ცალ-ცალკე კონვერტებში ჩააწყო და ბავშვებს გაუგზავნა. ნუცამ, ნიკამ და ელენემ უცნაური წერილები მიიღეს. აი, ეს წერილებიც:

სკივრს რომ გახსნით, ჩემი ჩიტი დაიჭიკჭიკებს და ამით ჩვენი მეგობრობაც გაგრძელდება.

თქვენი სიტყვის კაცი.

გიტოვებთ ჩემს სკივრს. თუ რამე დაგაინტერესებთ, გახსენით სკივრი და პასუხს იქ იპოვით.

ჩემო ძვირფასო ბავშვებო!
თქვენ უკვე ბევრი რამ ისწავლეთ და ჩემი დახმარება აღარ გჭირდებათ.

როცა ბავშვები სკოლაში მივიდნენ, წერილის ნაწილების დალაგება გადაწყვიტეს.

დაეხმარე შენს მეგობრებს წერილის დალაგებაში. გაიხსენე, როგორ იწყება წერილი და როგორ მთავრდება. მიუწერე წერილის ნაწილებს ნომრები, რის მერე რომელი ნაწილი უნდა იყოს.

წაიკითხე თანმიმდევრობით დალაგებული წერილი.

წაიკითხე შეკითხვები. შემოხაზე თითოეული კითხვის
სწორი პასუხი:

რატომ დაანაწილა სიტყვის კაცმა წერილი?

1. კონვერტში რომ ადვილად ჩაედო;
2. იმისათვის, რომ სამ კონვერტში მოეთავსებინა;
3. მეგობრებისათვის გული რომ არ დაეწყვიტა.

რა დაუტოვა სიტყვის კაცმა ბავშვებს?

1. სიტყვის სკივრი
2. საინტერესო წიგნები
3. ჯადოსნური ჩიტი

ამოწერე, როგორ იწყება სიტყვის კაცის წერილი:

ამოწერე, როგორ მთავრდება წერილი:

სავარჯიშო

ყურადღებით წაიკითხე ეს ნაწერი. ყოველი სიტყვის ბოლოს ჩამოუსვი
ერთი ხაზი და ყოველი წინადადების ბოლოს – ორი ხაზი:

ნინიკომქსოვაციისმანთავისპატარაძმასქუდიმოქსოვა

ნინიკოსმოქსოვილიქუდიყველასძალიანმოსწონს

4. როგორ იპოვეს ყურშა

ნიკა და თამუნა სასეირნოდ წავიდნენ. ჯერ კატო ბებოს სახლს ჩაუარეს, მერე – ეკლესიას, შემდეგ წყაროს მიადგნენ და ცივი წყალი დალიეს, ბოლოს ხიდი გადაიარეს და მინდორზე გავიდნენ.

მინდორზე ბავშვებს მოეყარათ თავი. ბიჭებმა ფეხბურთის თამაში დაიწყეს. გოგონებმა კი იქვე ჩრდილში მოიკალათეს. ბიჭებს ბურთი ფერდობზე დაუგორდათ. იგორა ბურთმა, იგორა და მეორე ბურთთან მიგორდა.

– ეს რა არის? უი, ლეკვი ყოფილა! – თქვა ნიკამ.

ბალახებში პატარა ლეკვი იწვა. ლეკვი თეთრი და ფუმფულა იყო. ყურები და თათები შავი ჰქონდა. ნიკას ლეკვი ძალიან მოეწონა, გულზე მიიკრა და ბავშვებთან მიირბინა.

– ლეკვი ვიპოვე, ლეკვი! პირველად ბურთი მეგონა.

ნუცამ ლეკვს პური მოუბრუნინა.

– ჯერ ძალიან პატარაა, მაგას რძე სჭირდება, – თქვა გოგამ.

ნიკამ ლეკვი შინ წაიყვანა. ლეკვს ყურშა დაარქვეს.

**რა გზა გაიარეს ბავშვებმა, სანამ მინდორზე გავიდოდნენ?
შეაერთე ხაზებით:**

ჯერ	ეკლესიას ჩაუარეს
მერე	კატო ბებოს სახლს ჩაუარეს
შემდეგ	ხიდი გადაიარეს
ბოლოს	წყაროს მიადგნენ

**რას მიაძგავსა ნიკამ ლეკვი?
შემოხაზე სწორი პასუხი:**

ზღარბს ბურთს კურდღელს.


მოძებნე მოთხრობაში, როგორი იყო ლეკვი და გადმოწერე:

როგორ მოიქცა ნიკა? შემოხაზე სწორი პასუხი:

1. ლეკვი ნუცას აჩუქა;
2. ლეკვი მინდორში დატოვა;
3. ლეკვი შინ წაიყვანა.

კროსვორდი

შეავსე კროსვორდი. დააკვირდი, რომელი სიტყვა სად უნდა ჩასვა:



რკო

კაბა

საათი